# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM



## ძვირფასო ვანელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს" – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ვანის მერობის კანდიდატისა და ვანის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ვანის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ვანი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭო***

# ვანის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წლის მონაცემებით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 5 მლნ 328 ათასი ლარი იყო, 2021 წლის გეგმის მიხედვით, 10,3 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – თუ 2013 წელს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით, 5,2 მილიონი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 9,4 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ვანის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (ინვესტიცია 1 422 289 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 568 915 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 1 პროექტი (51 423 ლარი, თანამონაწილეობა 20 569 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 69 ჰექტარზე განხორციელდა 31 პროექტი (ჯამურად 2 453 442 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 239 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 979 322 ლარი), რითაც 423-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 8 235 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 24 კოოპერატივი (263 მეპაიე, კაპიტალი 1 946 200 ლარ). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** 2016-2021 წლებში, დაკონტრაქტებულია 18 ჰექტარი, რეაბილიტაციისთვის ჯამურად 46 050 ლარი დაიხარჯა. **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 104-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და 10 506 256 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 526 677 ლარი). **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 26 პროექტი (ჯამურად 3 297 121 ლარი, თანადაფინანსება 1 318 848 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (10 პროექტი ჯამურად 983 193 ლარი, თანადაფინანსება – 762 758 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (3 პროექტი ჯამურად 299 690 ლარი, თანადაფინანსება 149 845 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 963 154 ლარი. დაშრობილი მიწის ფართობი, 0-დან (2013 წელს) 1365 ჰექტრამდე (2020 წელს), ხოლო წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 0-დან (2013 წელს) 405 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ვანის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 4 828 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 10 710 ჰექტარი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები;
- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ზემოაღნიშნული წარმატებული პროგრამების გაგრძელება მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;
- ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

**მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 267 888 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 361 184 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 26 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 10, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 16 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.**

**იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:**

- **ნამახვან ჰესების** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

**იმერეთის რეგიონში, 6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

ვანის მუნიციპალიტეტში. 2013-2021 წლებში, გაზიფიცირებულია ჯამურად 3 260 აბონენტი. 2013-17 წლებში, **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** 4591 აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განსავითარებლად,** 2014 წელს, ვანში, ჩატარდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2016 წლიდან ხორციელდება ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევისა და დაგეგმვის პროექტი.



ვანი-ტაბიძის ქუჩის რეაბილიტაცია

2018 წლიდან ფუნქციონირებს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრი, რომელიც ჩართულია – ვანის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის, მისი ტურისტული შესაძლებლობების ცნობადობის ამაღლებისთვის ყველა მნიშვნელოვან პროექტსა თუ აქტივობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს გარეთ. **2020 წელს** დასრულდა ქ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაციის II ფაზა (573 ათასი ლარი), არქეოლოგიური ძეგლების დამცავი გადახურვისა და ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის კეთილმოწყობა (1,83 მლნ ლარი).

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**
- **მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ასათვისებლად, იგეგმება ვანის ალპურ ზონაში გზის სრული რეაბილიტაცია; დიხაშხოს გოგირდის გეიზერის კეთილმოწყობა, მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;**
- **ვანის მუნიციპალიტეტის მერიისა და ვანის ტურიზმის ცენტრის მიერ ვანში ტურისტულ ლოკაციებთან საინფორმაციო აბრების, გზის მანიშნებლებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.**

## ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.**

ვანის მუნიციპალიტეტში, 2014-2019 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით მოსახლეობაზე გაცემულია 10,134 ათასი კუბ.მ მერქნული რესურსი. 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 4315 კუბ.მ ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ინსპექტირება.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ვანის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ვანში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 25,2 მლნ ლარამდე დაიხარჯა.

მუნიციპალიტეტში აშენდა 25 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 22 **ხიდს,** რისთვისაც ჯამურად 3 მლნ ლარზე მეტი თანხა დაიხარჯა.

ვანის მუნიციპალიტეტში, 2013-2020 წლებში, **სტიქიის შედეგად** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ, სახელმწიფოს მხრიდან 10 765 მლნ ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, ვანის 15 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 759 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.



ვანის დაფნის გადამამუშავებელი საწარმო

### 2021-2022 წლებისთვის ვანის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. ვანი, საავტომობილო შიდაგზების რეაბილიტაცია; ტაბიძის ქ. (ახალი დასახლება), სოლომონ II ქ., დიასამიძე-ნაფეტვარიძის ქ. – 986 527 ლ;
- სალხინოს ადმინ. ერთეულში, სალხინო-ზენობნის ს/გზის რეაბილიტაცია II ეტაპი – 619 809 ლარი;
- ზეინდრის ადმინ. ერთეულში შიდასაუბნო ს/გზების რეაბილიტაცია: კოპიტნარის, ლიფნარის, მამასახლისი ცინცაძეების, მაღლაკე, ჭელიძეები-ცინცაძეების უბნები – 740 000 ლ;
- დიხაშხოს (ნაწილობრივ სალხინოს ტერიტორიაზე) ადმინ. ერთეულში შიდასაუბნო ს/გზების რეაბილიტაცია (2 ლოკაცია): შენგელიების უბნის გავლით; ისრითის სტადიონიდან კაპატაძეები საღრიშვილების უბნის მიმართულებით – 604 890 ლ;
- ციხესულორის ადმინ. ერთეულში შიდასაუბნო ს/გზების რეაბილიტაცია: საბავშვო ბაღის, ავალიანების, თვალავაძეების, აბანოს, კორძაძეების, აბანოს უბნები – 431 354 ლ;
- ქ. ვანი, საავტომობილო შიდაგზების რეაბილიტაცია: თამარ მეფის I შესახვევი; რუსთაველის ქ. III ჩიხი; ბაგრატის ქ. I ჩიხი – 319 646 ლ;
- ტობანიერის ადმინ. ერთეულში შიდასაუბნო ს/გზების რეაბილიტაცია (ზედაეწერტობანიერი, კაცაძეების, მეფარიშვილების, მინაშვილი-ჯულაყიძეების , მაჭუტაძეების, კუშუბოურის უბნები) – 600 550 ლ;
- ზეინდრის ადმინ. ერთეულში შიდასაუბნო ს/გზის რეაბილიტაცია მაღლაკელიძე-ჭელიძეები-ცინცაძეების უბანი (II ეტაპი) – 300 457 ლ;
- ქ. ვანი, შიდა ს/გზების რეაბილიტაცია (ტაბიძის ქ. შესახვევები, წმ.ნინოს ქუჩის შესახვევები) – 350 623 ლ;
- სალომინაოს ადმინ. ერთეულში, სანიკიანების უბნის ს/გ რეაბილიტაცია – 508 698 ლ;
- ბზვანის ადმინ. ერთეულში შიდასაუბნო ს/გზების რეაბილიტაცია (ბზვანი–ზედაბზვანის დამაკავშ) – 347 700 ლ;
- ყუმური-დუცხუნის დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია – 626 629 ლ;
- ს/გზის რეაბილიტაცია ქედისუბნის მიმართულებით – 547 300 ლ;
- რუსთაველის ქ. საკოლმეურნეო ბაზრის შემოვლითი ს/გზის რეაბილიტაცია – 160 975 ლ;
- ს/გზის რეაბილიტაცია ხურციძე-შარაშენიძეების უბანში – 172 746 ლ;
- ს/გზის რეაბილიტაცია კონიების უბანში – 183 840 ლ;
- ს/გზის რეაბილიტაცია კერძევაძეებისა და გაბუნია-სიმონიების უბნებში – 114 936 ლ;
- ს/გზის რეაბილიტაცია ქარციძეების უბანში – 239 805 ლ;
- ს/გზის რეაბილიტაცია სანიკიანების უბანში – 675 676 ლ;
- ს/გზის რეაბილიტაცია აბრამიძეების უბანში – 300 000 ლ;
- ონჯოხეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 430 000 ლ;
- ზედა მუქედი-მიქელეფონის დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია, საწურბლიის უბნის გავლით – 360 000 ლ;
- საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მამფორიების უბანში – 115 932 ლ;
- ტობანიერის ადმინ.ერთეულში კუშუბოურის ს/გზის რეაბილიტაცია II ეტაპი – 765 965 ლ;
- საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მონასტრის მიმართულებით – 800 000 ლ;
- საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მდ. ძულუხურამდე – 396 576 ლ;
- ს/გზის რეაბილიტაცია სახნავას და მახარობლიშვილების მიმართულებით – 534 859 ლ;
- საპრასია-რომანეთის დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია – 541 948 ლ;
- ტოხვაძეები-თვალაბეიშვილების უბანში ს/გზის რეაბილიტაცია – 216 724 ლ;
- ამაღლება-ინაშაური2, ნადარბაზევის უბნის ჩათვლით, ს/გზის რეაბილიტაცია – 1 511 360 ლ;
- გიორგაძის ქ. I,II და III შესახვევების ს/გზის რეაბილიტაცია – 160 975 ლ;
- შაბთაი ცურის ქ., ჩახუნაშვილი-კეკელიძის ქუჩების დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია – 93 057 ლ;
- თავისუფლების ქუჩის ახალი დასახლება, ს/გზის რეაბილიტაცია – 303 704 ლ;
- ყიფიანის ქ. მეორე II ს/გზის რეაბილიტაცია – ინვესტიცია 57 588 ლ;
- ბაძგის უბანში ს/გზის რეაბილიტაცია – 870 445 ლ;
- ს/გზების რეაბილიტაცია (კოპიტნარის უბნის მიმართ., მაღლაკელიძე-ცინცაძეების) – 588 467 ლ;
- საპრასიის მიმართულებით ს/გზის რეაბილიტაცია – 500 000 ლ;
- „მეურნეობის უბნის“ მიმართულებით ს/გზის რეაბილიტაცია – 450 000 ლ;
- შიდასაუბნო ს/გზების რეაბილიტაცია (II ეტაპი: კორძაძეების, აბანოს უბანი №2 ადეიშვილების) – 298 494 ლ;
- ნანობაშვილების უბნის მიმართულებით ს/გზის რეაბილიტაცია – 370 000 ლ;
- ჭყვიში-ჭაგანჭყვიშის მიმართულებით ს/გზის რეაბილიტაცია – 441 922 ლ;
- ამაღლება-ინაშაურის ს/გზის რეაბილიტაცია სინაურიძეების უბნის გავლით – 381 855 ლ;
- **აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. კერძოდ, ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. აღნიშნული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.**

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# ალექსანდრე გოგორიშვილი: „ერთად ავაღორძინოთ ანტიკური ქალაქი და ულამაზესი მუნიციპალიტეტი!“

**თუ 2 ოქტომბერს, „ქართული ოცნების“ კანდიდატს, ალექსანდრე გოგორიშვილს ამომრჩეველი ნდობას გამოუცხადებს, მუნიციპალიტეტს ვანში დაბადებული, გაზრდილი და ვანშივე მუდმივად მაცხოვრებელი მერი ეყოლება. ბატონი ალექსანდრე ვანში დაიბადა და მშობლიური კერა არასოდეს მიუტოვებია. დღესაც აქ ცხოვრობს თავისი ულამაზესი ოჯახით – მეუღლე ნათია ლორთქიფანიძეა, გერმანულის სპეციალისტი. შვილები – 20 წლის ქრისტინე და 18 წლის ლევანი სტუდენტები არიან და მამას წინასაარჩევნო კამპანიაშიც აქტიურად ეხმარებიან – კანდიდატს ჩასატარებელი ღონისძიებების იდეებს აწვდიან.**

**„ვანელი ვარ, ვანელების გულისტკივილი ვიცი და აქედან არსად ვაპირებ წასვლას“, – აცხადებს ალექსანდრე გოგორიშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ანტიკური ქალაქისა და ულამაზესი მუნიციპალიტეტის აღორძინებას შეძლებს.**

– ვანში, სოფელ დიხაშოში დავიბადე. აქ გავიზარდე და სხვაგან არასოდეს მიცხოვრია. მამა, ალექსანდრე გოგორიშვილი პროფესიით ეკონომისტი იყო და 23 წელი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ბანკს. სამწუხაროდ, 1992 წელს ჩემს ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალდა – ყაჩაღები მამას სახლში თავს დაესხნენ და ბანკიდან ფულის გატანა მოსთხოვეს. მან წინააღმდეგობა გაუწია და მოკლეს. ამ დროს სახლში ჩემი და, დედა და ბებია იყვნენ, მე მაშინ 22 წლის სტუდენტი ვიყავი და სწორედ წინა დღეს წამოვედი თბილისში. ავტომატის იმდენი ტყვია იყო სახლში ნასროლი, ოჯახის დანარჩენი წევრები როგორ გადარჩნენ, არ ვიცი. მეხის გავარდნას ჰგავდა მაშინ ჩემთვის ეს ამბავი. მეგონა, ცხოვრება დასრულდა, მაგრამ ოჯახში ერთადერთი მამაკაცი დავრჩი, იძულებული გავხდი, ძალა მომეკრიბა და მათზე მეზრუნა.

**– დამნაშავეებს რა ბედი ეწიათ. მათი ვინაობა თუ იცით და იმ რთულ პერიოდში საქმე თუ აღიძრა?**

– ყველას სახელი და გვარი ვიცი. მამამ ერთ-ერთის დაჭრაც მოასწრო და საქმე აქედან გაიხსნა. დაჭრილი სახლიდან თავად ყაჩაღებმა გაიყვანეს. საბოლოოდ, მხოლოდ ის ერთი, დაჭრილი ყაჩაღი დაიჭირეს და 9 წელი გაატარა ციხეში.

**– ჯგუფური ყაჩაღობისა და მკვლელობისათვის 9 წელი როგორ მიუსაჯეს?**

– 18 წელი მიუსაჯეს, მაგრამ მერე ჩამოაკლდა და 9 წელში გაათავისუფლეს. დღეს გარდაცვლილია. სხვათა შორის, სხვებსაც არ დაადგა კარგი დღე – ზოგი გარდაიცვალა, ზოგს რაღაც შეემთხვა, მე კი შურისძიებაზე არასოდეს მიფიქრია. ასე რომ მოიქცე, შენც ისეთივე უნდა იყო... მამა ვანში ისე უყვარდათ, მთელი ქალაქი გლოვობდა მაშინ. დღესაც თბილად იხსენებენ... მის მსგავსად, მეც ეკონომისტი გავხდი და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იმავე ბანკში დავიწყე მუშაობა, რომელსაც მამა ხელმძღვანელობდა.

**– საბანკო საქმიანობას საკმაოდ რთულ პერიოდში ეწეოდით. ამ სტრუქტურაში მუშაობა რით იყო მნიშვნელოვანი?**

– მუშაობა იმ პერიოდში დავიწყე, კუპონები რომ შემოვიდა. ხალხი საშინელ დღეში ჩავარდა – ვისაც შემნახველ სალაროში ფული ჰქონდა, დაეკარგა. შემნახველ ბანკში კომისია შეიქმნა, სადაც ადამიანებს უმტკიცებდნენ, თანხას თუ შემოიტანთ, მომავალ წელს გაორმაგებულს მიიღებთო. დღემდე უწყვიათ ის წიგნაკები ოჯახებში და საეჭვოა, ოდესმე ვინმემ ფული დაუბრუნოს. საკრედიტო განყოფილებაში მუშაობისას, სესხებს ორგანიზაციებზე გავცემდით. მერე სამოქალაქო ომმა დაანგრია ყველაფერი და ორგანიზაციებიც აღარ არსებობდა. კრედიტების ფიზიკურ პირებზე გაცემა ბოლო წლებში დაიწყო. მეამაყება, რომ სწორედ ჩემი მუშაობის პერიოდში, ჩემს ხელში დაიწყო საპენსიო თანხების გაცემა ბანკმა. აქედან გამომდინარე, უამრავ ხალხთან გვქონდა ურთიერთობა და შეიძლება ითქვას, ადგილობრივები მიცნობენ.



დაიბადა 1969 წლის 5 იანვარს.

1986 წელს დაამთავრა ისრითის საშუალო სკოლა. 1993 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

1992 წლიდან 2017 წლის 15 სექტემბრამდე იყო „ლიბერთი ბანკის“ ქ. ვანის ფილიალის მმართველი.

2017 წლის 13 ნოემბრიდან არის ვანის მუნიციპალიტეტის მერი.

ფლობს რუსულ ენას.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თუმცა, ჩემს ცნობადობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ პირველი საკრებულოს წევრიც გახლდით. სხვათა შორის, ბევრ რამეს მაშინ ვსწავლობდით. თბილისშიც ჩამოვედით რამდენჯერმე, რათა გაგვეგო, როგორ აგვეწყო სტრუქტურა. ჩვენს მიერ შეკოწიწებული საკრებულო დღეს ძლიერია. საკმაოდ აქტიური წევრი ვიყავი, თანაც – ოპოზიციონერი. ზოგადად, შინაგანად ოპოზიციონერი ვარ და საკუთარ თავსაც კი მუდმივად ვაკრიტიკებ.

**– და მაინც, დღეს სახელისუფლებო გუნდში ხართ. რატომ?**

– იმიტომ, რომ 2012 წლის შემდეგ, ქვეყანაში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა. დღემდე წინა ხელისუფლება რომ ყოფილიყო, საქართველო კოლონია იქნებოდა და შიშში ვიცხოვრებდით.

„ქართული ოცნების“ გუნდმა ვანში ბევრი რამ გააკეთა – ბოლო 7 წლის განმავლობაში, სოფლებში, 120 კმ-მდე შიდაგზა დაიგო, აშენდა ხიდები, მოხდა გაზიფიცირება. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, სოფელი არ დაიცალოს, ახალგაზრდებმა ფუძე არ მიატოვონ,





ამისათვის კი აუცილებელია, განხორციელდეს ინფრასტრუქტურული პროექტები – ამბულატორია, საბავშვო ბაღი, სკოლა, გზა, გაზი, წყალი თუ იქნება ყველა სოფელში, ხალხს აქ ცხოვრების მეტი სტიმული მიეცემა. ახალგაზრდებისთვის სკვერებსაც ვაწყობთ. ამ მიმართულებით უამრავი გეგმა გვაქვს.

საამაყოა, რომ ვანში არაჩვეულებრივი სტადიონი გვაქვს, რომელსაც წყალი აკრავს ირგვლივ, კუნძულივითაა. სპორტკომპლექსიც გავაკეთეთ, რაგბის ახალი სტადიონიც გაკეთდა. სულორის გუნდსა და, ზოგადად სპორტს, ჩვენგან მაქსიმალური ხელშეწყობა აქვს. ყველა სოფელში გვაქვს მინისტადიონები და მათ მოწესრიგებაზეც აუცილებლად ვიფიქრებთ. სოფლებში საუბნო გზებს, არხებს ვაწესრიგებთ და განათებასაც ვამონტაჟებთ. მალე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გაზიფიცირება დასრულდება, 2022 წელს კი ქალაქში საკანალიზაციო სისტემის შეცვლას დავიწყებთ.

დაპირებისამებრ, ქალაქ ვანის სრული რეკონსტრუქცია დავიწყეთ, მალე ქალაქის იერსახე სრულად შეიცვლება და გაცილებით უფრო მიმზიდველი გახდება ტურისტებისთვის, მით უმეტეს, 2017 წელს მას ანტიკური ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

**– რას ნიშნავს ეს სტატუსი ქალაქისა და ვანელებისთვის?**

– აშენდა არქეოლოგიური მუზეუმი, რაც ტურისტების რაოდენობასაც საგრძნობლად გაზრდის და ქალაქს ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად გადააქცევს. ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი აქვს კურორტ სულორს. გვაქვს სამედიცინო ტურიზმის განვითარების რესურსიც – კურორტი ამაღლება, რომელიც თავის დროზე გოგირდოვანი წყლებით იყო ცნობილი, დღეს გაჩანაგებულია. საუბარია, რომ ეს კურორტი აღდგეს.

სოფელ გადიდში ტაძარი აშენდა. იგეგმება გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმები სრული რეაბილიტაცია, ასევე იგეგმება კორნელი კეკელიძის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმი უკვე გაკეთდა, მომავალში კი გვინდა, ჯემალ ქარჩხაძისა და გრიგოლ ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმები გავაკეთოთ.

გამარჯვების შემთხვევაში, ჩემთვის პრიორიტეტი იქნება სოფლის მეურნეობაც მოსახლეობას მაქსიმალურად მივაწვდი ინფორმაციას იმ პროგრამების შესახებ, რომელიც უკვე მუშაობს და მათი სიკეთით უამრავმა ადამიანმა ისარგებლა. ასევე ხელი უნდა შევუწყოთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასაც – მაქვს მოლაპარაკება ერთ-ერთ ბიზნესმენთან, რომელიც მომდევნო 4 წელიწადში, 5-6 მიკროსაწარმოს აშენებას აპირებს. საუბარია, ხილის გადამამუშავებელ საწარმოებზე, სადაც გლეხი ხილს ჩააბარებს და ეს ვანელებისთვის დიდი შვება იქნება.

მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით დიდი გეგმები გვაქვს. რა თქმა უნდა, პრიორიტეტების განსაზღვრისას, ყოველთვის ვითვალისწინებდით და მომავალშიც გავითვალისწინებთ ხალხის აზრს. მოსახლეობასთან სისტემატური ურთიერთობა მაქვს და გუნდის მხარდაჭერით, ჩვენ ერთად ავაღორძინებთ ანტიკურ ქალაქსა და ულამაზეს მუნიციპალიტეტს.



# ვანზე უზომოდ შეყვარებული კანდიდატის ოჯახი

მისი პირადი ცხოვრების ისტორია 2000 წლიდან იწყება. ერთ დღეს ახლობელთან ერთად ლორთქიფანიძეების ოჯახს ესტუმრა და მომავალი მეუღლე – ნათია ლორთქიფანიძე გაიცნო. ძალიან ცოტა დრო დასჭირდა რჩეულის გულის მოსანადირებლად – 6 თვეში იქორწინეს.

ქალბატონი ნათია პროფესიით გერმანული ენის სპეციალისტია.

წყვილს 2 შვილი ჰყავს. ქალიშვილი ქრისტინე, კავკასიის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია, პიარტექნოლოგიებს ეუფლება; ლევანი კი, ბაბუისა და მამის გზას დაადგა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს. ამბობს, რომ შვილები არჩევანში ყოველთვის თავისუფლები არიან და შესაბამისად, პროფესიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში, არ ჩარეულა.

უყვარს ნადირობა და თევზაობა. ერთ დროს ეს აზარტი მისთვის უცხო არ იყო – მეგობრებთან ერთად ხშირად ნადირობდა და თევზაობდა, დღეს კი, იშვიათად ახერხებს, რადგან ცდილობს, თავისუფალი დრო ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროს.

იყო დრო, ფეხბურთსაც თამაშობდა პროფესიულ დონეზე. ვანის „სულორის" გუნდში იყო – გუნდი საქათველოს ჩემპიონატებზე ყოველთვის სამეულში ხვდებოდა. სპორტულ კარიერაზეც ფიქრობდა, მაგრამ ტრავმის გამო უარის თქმა მოუწია. დღეს ფეხბურთს აღარ თამაშობს, მაგრამ ცდილობს, დრო გამონახოს და ივარჯიშოს.

აღდგომასა და შობას აუცილებლად ერთად ხვდებიან. ძალიან უყვართ ვანის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობების მონახულება. აქ ბევრი ადგილია, რომელიც მათში განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავს – არქეოლოგიური მუზეუმი, კურორტი სულორი, დიხაშხოს გეიზერები, არაჩვეულებრივი ალპური საძოვრები... ვანში დაბადებულ-გაზრდილმა მუნიციპალიტეტის ყველა კუნჭული ზედმიწევნით იცის. ვანზე შეყვარებულია. მასთან განსაკუთრებული მიზიდულობა აქვს და ამიტომაც არასდროს უფიქრია აქედან წასვლაზე. ვანზე უზომოდ არიან შეყვარებულები კანდიდატის შვილებიც – სტუდენტები უქმეებზეც კი უბრუნდებიან მშობლიურ სახლს.

შვილებზე საუბრისას ხაზს მათი ხასიათის შტრიხებს უსვამს. ყველაზე მეტად იმით ამაყობს, რომ მათთვის ქედმაღლობა და ამპარტავნება უცხოა, კეთილი და უშუალო ახალგაზრდები არიან.

ოჯახის წევრები მისი ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან – საარჩევნო მარათონში ამხნევებენ, მხარდაჭერას უცხადებენ და გალაკტიონის სახლ-მუზეუმში, წარდგენის ღონისძიებაზეც უმშვენებდნენ გვერდს.

მოუცლელობის გამო არასდროს საყვედურობენ, რადგან იციან, ალექსანდრე გოგორიშვილის მთავარი ფიქრები ახლა ვანის მუნიციპალიტეტს უტრიალებს. არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც არაფერი შეიცვლება – მომდევნო 4 წელიც, გოგორიშვილის მთავარი მიზანი, ვანის განვითარება და აღორძინება იქნება.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ვანის მუნიციპალიტეტზე,** გამოიყო 36 692 146 ლარი, დაფინანსდა 100 340 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 607 033 ლარით 131 366 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (6 971 822 ლარით 76 011 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (19 930 014 ლარით 13 247 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (5 001 057 ლარით 4 664 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 254 730 ლარითა 2 083 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 415 370 ლარით 2 834 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, **ვანის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 3 569 ბენეფიციარი ( 235 568 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა.

**ვანის მუნიციპალიტეტში,** 2019 წელს, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 96.5% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ვანში,** სტაციონარული მკურნალობით 108-მა (434 119 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1146-მა პაციენტმა (139 939 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული




უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 3 162 ორსული (171 996 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 785.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ვანის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 699 პირი (139 614 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ვანის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ვანში,** 2013-2021 წლებში, სულ 339 შემთხვევა 610 893 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ვანის მუნიციპალიტეტს 35 სოფლის ექიმი ემსახურება.**

**2014-2020 წლებში, ვანის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების მოწყობა/რეაბილიტაცია სოფლებში: ტობანიერი (28 189 ლ), ზედა ვანი (32 700 ლ), ბზვანი (11 800 ლ), სულორი (14 200 ლ), სალხინო (14 400 ლ). საპრასიის თემში ამბულატორიის მშენებლობის საფუძვლის მოწყობა (7 022 ლ). ქ. ვანი, სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მშენებლობა (129 200 ლ) და ეზოს მოწყობა (27 493 ლ). **დევნილები:** ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, მარნეული, ქუთაისი, ქარელი, წყალტუბო – იძულებით გადაადგილებულ პირთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი პირობებით. (საქართველოს რეგიონებში არსებული შენობის რეაბილიტაცია – 335 ბინა) – 11 940 101 ლარი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 92,6 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 52,0 ათასი ლ). ვანში, 2012 წლიდან განხორციელდა/ხორციელდება სამედიცინო დახმარების მუნიციპალური პროგრამები. 2020 წელს სამედიცინო დახმარების პროგრამის ბიუჯეტმა 298 145 ლარი შეადგინა. განისაზღვრა პროგრამის პრიორიტეტები, გამოიკვეთა მიზნობრივი ჯგუფები და გაიზარდა მათთვის გამოყოფილი დახმარების ოდენობა.

**მუნიციპალიტეტი, 2012 წლიდან დღემდე, ახორციელებს ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამას.** წლების განმავლობაში, დაზუსტდა სამედიცინო დახმარების პროგრამის პრიორიტეტები, დახმარების მოცულობა განისაზღვრა დაავადებათა სახეობებისა და ბენეფიციართა სოციალური სტატუსის მიხედვით, გაიზარდა მძიმე დაავადებულთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება, გამარტივდა დახმარების გაწევის პროცედურები. თუ 2017 წელს დახმარება გაეწია 640 ბენეფიციარს (242 457 ლარი), 2020 წელს მათი რაოდენობა 761-მდე გაიზარდა (298 145 ლარი). დღეისათვის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს (ფინანსდება ავთვისებიანი სიმსივნით, გულით, C ჰეპატიტით, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები და ა.შ.), საბიუჯეტო დაფინანსების ზრდის პარალელურად, დაემატება აუტისტური სპექტრით, მწვავე ლეიკემიითა და სხვა მძიმე ან/და ქრონიკული დაავადების მქონე პირები, დევნილები და ა.შ. შედეგად გაფართოვდება ბენეფიციართა ფენა, გაიზრდება მათთვის გამოყოფილი თანხები და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ვანის მუნიციპალიტეტში**, სახელმწიფო პენსიის მიმღებია 6 516 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ – 8 688 809 ლარიდან 17 817 425 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 117 121 059 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ვანში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 80 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,1-ჯერ – 99 090-დან 404 137 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 2 929 015 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ვანის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 284 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, 1,5-ჯერ – 1 864 ათასიდან 2 817 ათას ლარამდე (2020 წ. მონაცემ.) გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 23 747 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 5 992 ათასი, შშმ პირებზე – 2 523 ათასი, ბავშვებზე – 77 678 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ვანში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1386 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,6-ჯერ – 447 704-დან 2 490 344 ლარამდე გაიზარდა (2020 წ. მონაც.). 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 16 086 249 ლარი.

**ვანის მუნიციპალიტეტში 228 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 81 360-დან 131 625 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი.



2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 049 370 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ვანის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 37 ოჯახი, მათ შორის: ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში ბინა გადაეცა 30 ოჯახს, პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 2 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 35 ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ვანში,** დაფინანსებულია 99 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 156 050 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 201 750 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ვანის მუნიციპალიტეტზე** – 1 976 330 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ვანის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 977 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 1048. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, **მუნიციპალიტეტში,** 2020 წელს ისარგებლა 235-მა პირმა, 2021 წელს (ივნისის მონაცემებით) – 242-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – **ვანში,** პროგრამაში, 2020 წელს ჩაერთო 322 პირი, 2021 წელს – 325 (ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთვის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 429,4 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 283,0 ათასი ლ).

**მუნიციპალიტეტი, 2012 წლიდან დღემდე, სოციალური დაცვის სფეროში, ახორციელებს 17 მუნიციპალურ პროგრამას. მათ შორის:** ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა, მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა, სარიტუალო დახმარების პროგრამა, სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა, ვეტერანთა დახმარების პროგრამა (საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების, სოციალურად დაუცველ ვეტერანთა, II მსოფლიო ომის, ჩერნობილის მონაწილეებისა და 9 აპრილს დაზარალებულთა დახმარება) სტუდენტთა დახმარების პროგრამა, შშმ პირთა დახმარების პროგრამა (ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირების დახმარება) და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების გაზრდის კვალდაკვალ, მომდევნო წლებში, ვანის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ჩამონათვალს დაემატება ახალი პროგრამები, მათ შორის: შინ მოვლის პროგრამა; სოციალურად შეჭირვებული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა; მშობელთა მზრუნველობამოკლებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეზე/ მზრუნველზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.


ქალაქ ვანის №2 საბავშვო ბაღი

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** ვანში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, მათგან 2 – ქ. ვანში, ხოლო 23 სოფლად.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა, ვანში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს, განათლების მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 796,2 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 426,5 ათასი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 485 ათასი ლარით განისაზღვრა.

**2014-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს,** მათ შორის, **2014 წელი** – ზეინდრის, ამაღლების, ვანის №2, ზედა ვანის, სალხინოს საბავშვო ბაღები (296,9 ათასი ლარი); **2015 წელი** – შუაგორას, საპრასიის, ტობანიერის, ქ. ვანის №1 (341,5 ათასი ლარი), ზედა ვანის, სალხინოს, დიხაშხოს, ფერეთას, გორას, მუქუდის, ციხესულორის, ზეინდრის, მთისძირისა და სალომინაოს საბავშვო ბაღები; ასევე, განხორციელდა ქ. ვანის №2, სოფლების – ზედავანის, სალხინოსა და ამაღლების საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია; **2016 წელი** – ფერეთას, მთისძირის, ბზვანის, ყუმურის, ზედა გორას, სალომინაოს, შუაგორას, გორას, ყუმურისა და საპრასიის საბავშვო ბაღები (სულ 984,8 ათასი ლარი). **2017 წელს დასრულდა:** სულორისა (165 ათასი ლარი) და ციხესულორის (195 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; ასევე, უხუთის საბავშვო ბაღის მშენებლობა (179, 3 ათასი ლარი) და ბზვანის საბავშვო ბაღის (140 ათასი ლარი) რეაბილიტაცია; ასევე, სოფ. ფერეთას საბავშვო ბაღში მოეწყო სანკვანძი (389 ლარი), განხორციელდა სოფ. ზედა გორას საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები (847 ლარი); **2018 წელს დასრულდა** შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობა. **2019 წელს დასრულდა** მთისძირის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (210, 7 ათასი ლარი), ძულუხში საბავშვო ბაღის მოწყობა (53,2 ათასი ლარი), ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქ. №42-ში მდებარე ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია №2 საბავშვო ბაღის განსათავსებლად (198,9 ათასი ლარი). ასევე, მიქელეფონისა და ფერეთას საბავშვო ბაღების მოწყობა საჯარო სკოლების თავისუფალ ფართობებში. სამშენებლო-სარეაბილიტაციოო სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) დაფინანსდა.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 460-დან 650-მდე გაიზარდა, **კვების დღიური თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე – 43 ლარამდე. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში 46 **აღმზრდელია**. მათი **ხელფასი**, 2012 წლის შემდეგ, 160-დან 400 ლარამდე გაიზარდა. საბავშვო ბაღებს 29 **ექიმი/ექთანი** და 1 **ფსიქოლოგი** ემსახურება. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 12 საბავშვო ბაღის 12 ჯგუფში. პროგრამაში ჩართულია სასკოლო ასაკის 253 ბავშვი.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საჯარო სკოლა** (ქალაქში – 2, სოფლად – 28), სადაც 2475 მოსწავლე, 531 მასწავლებელი და 9 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 43 სსსმ მოსწავლე. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში, 1 სკოლას ემსახურება ექიმი-ფსიქოლოგი.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ვანის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის:** 2017-2018 წლებში, **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით,** საჯარო სკოლებში 34, ხოლო 2019 წელს 30 პროექტი დაფინანსდა, ფინანსურად 68 აქტივობა წახალისდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით,** 24 საჯარო სკოლის (69 მიმართულება) 804 მოსწავლე სარგებლობს; 2013-2019 წლებში, **პირველკლასელებს საჩუქრად** 1531 კომპიუტერი გადაეცათ, მათ შორის, 2017-2019 წლებში – 763; კომპიუტერი 144-მა **კლასის დამრიგებელმა** მიიღო, მათ შორის 2017-2019 წლებში – 67-მა, ხოლო 2013-2019 წლებში, პორტაბელური კომპიუტერებით დასაჩუქრდა 108 **წარჩინებული მოსწავლე,** მათ შორის, 2017-2019 წლებში – 47 მოსწავლეს. 2013-2019 წლებში, საჯარო სკოლებში, ჯამში, 92 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა, მათ შორის, **2018-2019 წლებში,** 32 ოქროსა და 11 ვერცხლის მედალოსანი; 2015-2019 წლებში, **მატერიალურ-ტექნიკური** ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 52 პროექტი განხორციელდა. **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის** პროგრამით, 2019 წელს, **„ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში**, 4 საჯარო სკოლას 75 კომპიუტერი გადაეცა, **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის** პროგრამით, 2017-2019 წლებში – 2 საჯარო სკოლას – 14 კომპიუტერი. 2017-2020 წლებში, მოსწავლეებს 70001 სახელმძღვანელო უფასოდ გადაეცათ. 2019-2021 წლებში, **„ახალი სკოლის"** მოდელი დაინერგა მუნიციპალიტეტის 16 საჯარო სკოლაში. 2018-2019 წლებში, სკოლების **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** აღჭურვის – 27, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 36 პროექტი განხორციელდა, კორპორატიული სტანდარტის **უსადენო ქსელით** 5 სკოლა სარგებლობდა. **ოპერირებისა და მოვლა პატრონობის პროგრამა** ხორციელდება 2 საჯარო სკოლაში (სოფელ ამაღლებისა და ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლები).

**ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში,** ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში განხორციელდა 62 პროექტი. **ადაპტირებულია** 13 საჯარო სკოლა. ცენტრალური გათბობა მოწყობილია 14 სკოლაში. მათ შორის: **2013 წელს** განხორციელდა საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 11 პროექტი (სულ 586,2 ათასი ლარი); **2014 წელს** 8 საჯარო სკოლაში ნაწილობრივი რეაბილიტაციის 11 პროექტზე სულ 685,2 ათასი ლარი დაიხარჯა; დაიწყო სოფ. ზედა ვანის საჯარო სკოლის მშენებლობა (1 მლნ 279,5 ათასი ლარი); **2015 წელს** 8 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და 2 საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახების მოწყობა სულ 1 მილიონ 452,5 ათასი ლარით დაფინანსდა; **2016 წელს** აშენდა სოფ. ზედა ვანის საჯარო სკოლა; განხორციელდა 3 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სოფ. სალხინოს საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი, ხოლო ზედა ვანის სკოლაში – სპორტული მოედანი (სულ 57,1 ათასი ლარი). **2017 წელს დასრულდა** სოფ. მიქელეფონის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (98,5 ათასი ლარი); სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (701, 2 ათასი ლარი). ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. შუაგორას საჯარო სკოლას (110, 9 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის საკარო სკოლებში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. **2018 წელს დასრულდა** სოფ. რომანეთის საჯარო სკოლის მშენებლობა (450 ათასი ლარი); სოფ. ტობანიერის საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაცია (555,6 ათასი ლარი). **2019 წელს,** მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 11 პროექტის განხორციელებაზე, ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამში, 361,2 ათასი ლარი დაიხარჯა. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ვანის №1, ისრთის, სალომინაოს, სულორის, შუაგორას საჯარო სკოლებში.

**„ათასწლეულის გამოწვევის ფონდიდან"** დაფინანსდა სოფ. ამაღლების საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (800 ათასი ლარი), ქ. ვანის №2 საჯარო სკოლისა (1 მლნ 611, 9 ათასი ლარი) და ეზოს სრული რეაბილიტაცია (115 ათასი ლარი); სოფ. ტობანიერის საჯარო სკოლის ეზოს რეაბილიტაცია (116 ათასი ლარი); ამავე ფონდიდან სოფ. ამაღლების №1 საჯარო სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა-შემოღობვაზე 138,1 ათასი ლარი დაიხარჯა, ხოლო ქ. ვანის №2 სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა, შემოღობვასა და გარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობაზე – 108, 8 ათასი ლარი. ასევე, 11,5 ათასი ლარით დაფინანსდა სოფ. შუამთის საჯარო სკოლის გაზიფიცირება; ქალაქ ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ნაწილობრივ რეაბილიტაციას 22, 6 ათასი ლარი მოხმარდა.

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს –** 11 პროექტი დაფინანსდა, ჯამში, 344,3 ათასი ლარით. **2020 წელს –** არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის უსაფრთხოების მიზნით, დღის წესრიგში დადგა სკოლებში სველი წერტილების დაუყოვნებლივ მოწესრიგების საკითხი. შესაბამისად, საჯარო სკოლებში განხორციელებული 22 ინფრასტრუქტურული პროექტიდან, 18 სწორედ შენობებში სველი წერტილების მოწყობას ითვალისწინებდა, შესაბამისად საჯარო სკოლებში საპირფარეშოების მოწყობა-რეაბილიტაციაზე, ჯამში, 732,6 ათასი ლარი დაიხარჯა. 2020 წელს სულ 22 პროექტი კი 877,8 ათასი ლარით დაფინანსდა. **იმავე წელს** აშენდა 2 საჯარო სკოლა (ზედა ვანი და რომანეთი). სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ტობანიერის სკოლას. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის" დაფინანსებით, სრულად რეაბილიტირებულია ქ. ვანის №2 და ამაღლების საჯარო სკოლები. შუამთისა და შუაგორას საჯარო სკოლებში დამონტაჟდა გათბობის სისტემები. ქ. ვანის №1, შუამთის, სალომინაოსა და სულორის საჯარო სკოლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სველ წერტილებს, ციხესულორის საჯარო სკოლაში განხორციელდა შიდა კოსმეტიკური რემონტი და ელექტროგაყვანილობის მონტაჟი, ტობანიერის, მთისძირისა და შუამთის სკოლებში კი განხორციელდა ღობეების მონტაჟი. **2021 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა და მიმდინარეობს:** სოფელ ზედა გორას საჯარო სკოლის საძირკვლის გამაგრება, ზედა ვანის საჯარო სკოლის წყალ-კანალიზაციის მოწყობა, ქვედა გორასა და საპრასიას საჯარო სკოლებში სეპტიკის მოწყობის სამუშაოები.

### „ქართული ოცნების" უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო. გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის განხორციელდება სოფ. მთისძირის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; ზეინდრის, ჭყვიშის, ქვედა მუქედის, დიხაშხოსა და ფერათას საბავშვო ბაღების მშენებლობა. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- საბავშვო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგთა ხელფასები, 2024 წლამდე, ეტაპობრივად, გაიზრდება;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, განხორციელდება ვანში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. დაგეგმილია რეაბილიტაცია ისრითის (337 ათასი ლარი), ძულუხის (125, 4 ათასი ლარი), ქვედა გორას (141, 5 ათასი ლარი), სულორის (131, 8 ათასი ლარი), სალომინაოს (130, 3 ათასი ლარი), უხუთის (17, 6 ათასი ლარი), შუამთის (107 ათასი ლარი), ზედა გორას (110 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.




შუაგორას საჯარო სკოლა

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** სახვითი ხელოვნების მუზეუმი, კორნელი კეკელიძის სახლ-მუზეუმი, გიორგი ძიგვაშვილის მემორიალური მუზეუმი, კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმი, ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკა, სოფ. ზეინდრის და სოფ. შუამთის ბიბლიოთეკები, ლ. გერსამიას სახელობის კულტურის ცენტრი (ცენტრთან არსებული ანსამბლი „ვანი“), გ. ტაბიძის სახელობის შუამთის კულტურის სახლი, ქ. ვანის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და ქ. ვანის გურამ ბზვანელის სახელობის სამუსიკო სკოლა, სოფელ ზეინდრის მუსიკალური სკოლა, კარლო საკანდელიძის სახელობის სახალხო თეატრი.

**2013 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 836,2 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი 300 ათასი ლარით განისაზღვრა.

**2017-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში:** ტარდება სახალხო დღესასწაულები („ვანელობა“, „ტიციანობა“, „გალაკტიონობა“, „კეკელიძეობა“, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვ.), იმართება ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, კონცერტები, თეატრალური ფესტივალები, მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. **2020 წელს** კარლო საკანდელიძის სახელობის სახალხო თეატრში დაიდგა სპექტაკლი – „ემიგრანტები“, **2021 წელს** კი სპექტაკლი – „გოდოს მოლოდინში“.

**სახელოვნებო განათლების კუთხით მრავალი ღონისძიება გაიმართა. მათ შორის:** რეგიონული მუსიკალური კონკურსი „იმერეთის ხმა“, რომელიც ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა; შუამთის მოსწავლე-ახალგაზრდობის ლიტერატურული გაერთიანება „პარნასი“ აწყობდა რეგულარულ გასვლებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში პროექტით – **„მთასა და ბარს გულის სათქმელი, უფალთან ერთი ჰქონია“**. ვანის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ლიტერატურული წრის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა ლიტერატურული საღამო – **„ქალი, გაზაფხული და ლექსი“.**

ვანში ფუნქციონირებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ერთი მუზეუმი. **2021 წელს** მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ 4 მუზეუმს, საერთო ჯამში, 1220 ვიზიტორი, ვანის ცენტრალურ ბიბლიოთეკას კი 1400 სტუმარი ეწვია.

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, რაზეც,**



ვანის განახლებული არქეოლოგიური მუზეუმი

**ჯამურად, 657,2 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის დაფინანსდა:** ქ. ვანის კულტურის ცენტრის კაპიტალური რემონტი (**2014 წელი, პირველი ეტაპი** – 337,3 ათასი ლარი; **2015 წელი, მეორე ეტაპი** – 271 ათასი ლარი), შუამთის თემში კულტურის სახლთან გარეგანათების მოწყობა; ქ. ვანის კულტურის სახლის რეაბილიტაცია; ქ. ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკის მისასვლელი გზისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სოფ. შუამთასა და სოფ. ქყვიშში გარეგანათების მოწყობა გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმამდე; გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმის მემორიალური შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. **2017-2018 წლებში** აშენდა კალისტრატე ცინცაძის მუზეუმი. მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა.

**მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით, 2016 წელს დაიწყო და 2020 წელს დასრულდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაცია.** ქვეყნის სამუზეუმო სივრცეს შეემატა ვანის არქეოლოგიური კომპლექსი, რომელიც XXI საუკუნის რეგიონული მუზეუმის მოდელს წარმოადგენს და სადაც მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ტურიზმის სხვადასხვა სეგმენტი ერთ სივრცეში თანაარსებობენ. მუზეუმები სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. აქ, უახლესი სტანდარტების დაცვით, მოეწყო ფონდსაცავები, სამეცნიერო ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა-მედიათეკა და საზოგადოებრივი სივრცეები. ამჟამად მიმდინარეობს მუზეუმამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**2019 წელს –** ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს 283,4 ათასი ლარის ლაბორატორიული აღჭურვილობა, 513,9 ათასი ლარის კომპიუტერული და სხვა ტექნიკა მიეწოდა, ავეჯისა და სხვა აღჭურვილობის მიწოდება/მონტაჟზე 681,4 ათასი, საგამოფენო ვიტრინების, ავეჯის და სანათების მიწოდება/მონტაჟზე კი 2 მლნ 866,2 ათასი ლარი დაიხარჯა. პროექტის საერთო ღირებულება 14,5 მილიონი ლარია.

**ვანის მუზეუმებს, 2013-2021 წლებში, საერთო ჯამში, 36827 დამთვალიერებელი სტუმრობდა, მოეწყო 26 თემატური გამოფენა.**

**2017 წელს,** სოფელ ტობანიერში, კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობაზე 85 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2019 წელს** განხორციელდა ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა №63-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე არსებული ფართობის რეაბილიტაცია ბიბლიოთეკის განთავსების მიზნით, რასაც, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 39,7 ათასი ლარი მოხმარდა.

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში,** ვანის მუნიციპალიტეტში, 2015 წელს, განხორციელდა სოფ. ციხესულორის არქეოლოგიური სამუშაოები, რაზეც 10 ათასი ლარი დაიხარჯა. 2017-2018 წლებში სოფელ ციხესულორში, ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად (ხელმძღვანელი – გურამ ყიფიანი) მოძიებულ იქნა **უძველესი ქალაქის – სირიუმის** არსებობის დამადასტურებელი მასალები.

**2017 წელს,** სამინისტროს დაფინანსებით დასრულდა სსიპ გალაკტიონ და ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია, რაც 258,1 ათასი ლარით დაფინანსდა.

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ვანის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი **„საქართველოს კერამიკის გზა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 24,6 ათასი ლარი).

## სპორტი

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება.** სარაგბო კლუბი „აიეტი“ და საფეხბურთო კლუბი „სულორი“.

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 264,5 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 375,3 ათას ლარი იყო.

**2019 წელს ვანის საჭადრაკო კლუბს** მიენიჭა ქართველი მოჭადრაკის, საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის ნინო ხურციძის სახელი და დაარსდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მისი სახელობის თასზე.

**ვანის მუნიციპალიტეტში, სპორტის პრიორიტეტულ სახეობებად ჩამოყალიბდა** მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ჭიდაობა-სამბო, კალათბურთი, რაგბი. სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებაში აქტიურად მუშაობს სხვადასხვა წრეები.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებში და შთამბეჭდავ წარმატებასაც აღწევენ.

ვანის მერია, ყოველწლიურად, სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე გუნდებს გადასცემს სპორტულ ფორმებს, აფინანსებს სპორტული გუნდების მივლინებებს საქართველოს სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად. ვანის წარმატებულ მძლეოსანს თამთა ღვინიანიძეს, რომელიც საქართველოს ნაკრების წევრი და არაერთი ეროვნული საერთაშორისო შეჯიბრის გამარჯვებულია, 2021 წელს, ვანის მუნიციპალიტეტის მერმა საჩუქრად სპორტული ფორმები გადასცა.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის:**

**2014 წელი** – ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი (170,5 ათასი ლარი, ცენტრალური ბიუჯეტი – რგპფ); ქ. ვანის ცენტრალური სტადიონის კაპიტალური რემონტის პირველი ეტაპი (185,4 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტი); სოფ. ზედა ვანის სტადიონის შემოღობვა (700 ლარი); სოფ. ტობანიერის ფეხბურთის სტადიონის შეღობვა, მეორე ეტაპი (803 ლარი); სოფ. მუქედში საფეხბურთო მოედანზე გარეგანათების დამატება (7,5 ათასი ლარი, სხვა ობიექტებთან ერთად); ქ. ვანში მინი სპორტული მოედნისა და დასასვენებელი პარკის მოწყობა (41,4 ათასი ლარი); სოფ. შუამთისა და სოფ. სალხინოსთვის სპორტული ინვენტარის შეძე-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ნა (2,5 ათასი ლარი); სოფ. ტობანიერის საფეხბურთო მოედნის განათების მოწყობა (2,4 ათასი ლარი); შუამთის თემში საფეხბურთო მოედნის შეღობვა და კეთილმოწყობა (8 ათასი ლარი); სოფელ: ყუმურში, სულორში, ზედა ვანში, ძულუხსა და ამაღლებაში მინი საფეხბურთო მოედნების მოწყობა-შეღობვა (5,9 ათასი ლარი); სოფ. მუქედში ფრენბურთის მოედნის მოწყობა (140 ლარი).

**2015 წელი** – ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია, მეორე ეტაპი (323,3 ათასი ლარი, ცენტრალური ბიუჯეტი რგპფ); ქ. ვანის ცენტრალური სტადიონის კაპიტალური რემონტი, მეორე ეტაპი (92 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტი); ქ. ვანის რაგბის სტადიონის მოწყობა, პირველი ეტაპი (43,6 ათასი ლარი); სოფ. ამაღლების სტადიონის შემოღობვა და განათების მოწყობა (10,3 ათასი ლარი); სოფ. სალხინოს სპორტული მოედნის შემოღობვა და მინი საფეხბურთო მოედნის შემოღობვის მასალების შეძენა (4 ათასი ლარი); სოფ. დიხაშხოს მინი ფეხბურთის მოედნის შეკეთება (3 ათასი ლარი); სოფ. სალხინოს სპორტული მოედნის შემოღობვა (2,2 ათასი ლარი); სოფ. ძულუხის სპორტული მოედნის დამატებითი განათებისთვის მასალების შეძენა (580 ლარი);

**2016 წელი** – სოფ. ამაღლების სტადიონის კეთილმოწყობა (771 ლარი); ქ. ვანის რაგბის სტადიონის მოწყობა, მეორე ეტაპი (71,1 ათასი ლარი); ქ. ვანის ცენტრალური სტადიონის გვერდითი ფასადის მოწყობა (7,6 ათასი ლარი); სოფ. გორას სპორტული მოედნის შეკეთება (433 ლარი); სოფ. გადიდის სპორტული მოედნის შეკეთება (433 ლარი); სოფ. შუამთაში მინისტადიონის კეთილმოწყობა (1,1 ათასი ლარი).

**2018-2019 წლები** – სოფელ ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში მინისტადიონის რეაბილიტაციას 20, 6 ათასი ლარი მოხმარდა, სოფელ შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მინისტადიონის რეაბილიტაციაზე კი 20, 8 ათასი ლარი დაიხარჯა; შეკეთდა დიხაშხოს მინისტადიონიც, რაც 13, 9 ათასი ლარით დაფინანსდა, სოფელ შუაგორაში კი მინისტადიონის რეაბილიტაციას 7,3 ათასი ლარი მოხმარდა. 2019 წელს განხორციელდა ქ. ვანში ჭადრაკის სახლის რეაბილიტაციაც, რაზეც 48 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2020-2021 წლები –** ქ. ვანში თავისუფლების ქ-ზე მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაციისა (64,4 ათასი ლარი) და სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციის (474,4 ათასი ლარი) პროექტები; ასევე, ცენტრალური სტადიონის გარეპერიმეტრის რეაბილიტაცია (140,5 ათასი ლარი). განხორციელდა ხანძრის შედეგად დაზიანებული ვანის სასპორტო სკოლის სრული რეაბილიტაცია, სავარჯიშო დარბაზითა და სველი წერტილებით.

**მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აქტივობებში ჩართვის მიზნით,** 2013-2018 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (13,2 ათასი ლარი) და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (10,7 ათასი ლარი).

**2018-2020 წლებში,** სამინისტროს ორგანიზებით, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული და აღინიშნა საერთაშორისო დღე – **„სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის“.**

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**სპორტისა და ახლგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (პროგრამაში ჩართული იყო 2-2 ახალგაზრდა იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან); „გალაკტიონობა“, სოფ. ჭყვიშში (600-მდე მონაწილე საქართველოს ყველა რეგიონიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან).

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ინიციატივით,** ჩატარდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ორკვირიანი ტრენინგ-სემინარი მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, მათ შორის ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობა აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა **სოციალურ პროექტებში,** ჩატარდა კონფერენციები ისეთ პრობლემურ და აქტუალურ თემებზე, როგორებიცაა ნარკომანია, ოჯახური ძალადობა, აღინიშნა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე.

**მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა აქტიურადაა ჩართული სპორტულ ცხოვრებაში:** მონაწილეობს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში, **„მხიარულ სტარტებში“, „სპორტი ბარიერების გარეშე“,** საერთაშორისო სპორტისა და ოლიმპიზმის დღის აღსანიშნავად დაგეგმილ ღონისძიებებში და სხვ.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით, ვანის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის: ქ. ვანში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე,, აშენდება სპორტული დარბაზი (2,9 მილიონი ლარი). განხორციელდება სოფ. გორას სპორტული მოედნის შეკეთება, მოეწყობა სოფ. ამაღლების სტადიონი;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

# მართლწესრიგი

## დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, ვანის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ ვანის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წლებში, კრიმინოგენური მდგომარეობა მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 8 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 7, ანუ 87,5%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 1-4 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება „სისტემური განახლების“ კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა**; კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი**, რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

## პრობაციონერთა სტატისტიკა

**2017-2020 წლებში, ვანის მუნიციპალიტეტში, პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.**

მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა დასტაბილურდა და, წლების მიხედვით, უმნიშვნელოდ იცვლება. განმეორებით ჩადენილი დანაშაული 2020 წელს არ მომხდარა, ხოლო 2017-2019 წლებში, მხოლოდ 7 ასეთი შემთხვევა იყო აღრიცხული.

2017-2020 წლებში, პრობაციის სააგენტოს რეკომენდაციით მუნიციპალიტეტში 5 მსჯავრდებული დასაქმდა. სამომავლოდ სააგენტო გეგმავს უფრო მეტ პრობაციონერს შეუწყოს აქტიურად ხელი დასაქმებაში; ასევე, პანდემიის გამოწვევის გათვალისწინებითა და უსაფრთხოების ზომების დაცვით, მუნიციპალიტეტში განზრახულია პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამების ეფექტიანი განხორციელებაც.

## ვანში მოქმედი საზოგადოებრივი ცენტრები

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება დასახელდა. **საზოგადოებრივი ცენტრი**, იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო მომსახურება; ამავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას.

**მუნიციპალიტეტში ეფექტიანად ფუნქციონირებს ორი საზოგადოებრივი ცენტრი:** ქ. ვანში, რომელიც 2020 წლის 10 ივლისს გაიხსნა და სოფ. ზეინდარში, რომელიც 2017 წლის 14 სექტემბერს გაიხსნა.

**ცხ. 1 ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.**

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები) | 2 | 1 | 1 | 0 |
| მათ შორის, გახსნილი | 2 | 0 | 1 | 0 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) | 0 | 2 | 0 | 0 |
| მათ შორის, გახსნილი | 0 | 2 | 0 | 0 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი) | 0 | 0 | 0 | 0 |
| მათ შორის, გახსნილი | 0 | 0 | 0 | 0 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი) | 0 | 1 | 0 | 0 |
| მათ შორის, გახსნილი | 0 | 1 | 0 | 0 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი) | 0 | 0 | 0 | 1 |
| მათ შორის, გახსნილი | 0 | 0 | 0 | 1 |
| სულ | 2 | 4 | 1 | 1 |
| მათ შორის გახსნილი | 2 | 3 | 1 | 1 |

**ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ვანის მუნიციპალიტეტში**

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 67 | 59 | 66 | 62 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 1 | 0 | 0 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 1 | 5 | 1 | 0 |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 2 | 3 | 0 | 0 |




# ჩემო ძვირფასებო!

მთელი ჩემი ცხოვრება მშობლიურ ვანთან არის დაკავშირებული. ბევრი თქვენგანი მიცნობს და ბევრთან საქმიანი თუ მჭიდრო ადამიანური ურთიერთობაც მაკავშირებს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა და დაფასებაა, როდესაც შენი გუნდი მშობლიურ მხარეზე ზრუნვის შესაძლებლობას უკვე მეორედ გაძლევს.

მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარ, ვიცი, რა გიჭირთ და გილხინთ. ვამაყობ, რომ განვლილ 4 წელიწადში მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ და უამრავი პროექტი განვახორციელეთ, თუმცა ვიცი იმ პრობლემების შესახებაც, რომელიც ჯერ კიდევ დგას ჩვენი მუნიციპალიტეტის წინაშე. გარწმუნებთ, თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩემს გუნდთან ერთად ამ პრობლემებს დროულად აღმოვფხვრით.

თქვენთან მრავალწლიანი ურთიერთობა მაძლევს იმის უფლებას, გთხოვოთ, ერთად ვიზრუნოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი ოჯახების უკეთეს ხვალინდელ დღეზე!

მსურს, ერთად განვიხილოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული პრობლემა, ერთად ვიმსჯელოთ მათი გადაჭრის გზებზე და ერთად ვიპოვოთ გამოსავალი. გარწმუნებთ, მე და ჩემი გუნდი, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერითა და თქვენი უშუალო ჩართულობით, ჩვენს ვანს განვითარების ახალ ეტაპზე გადავიყვანთ!

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ და ეს ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები თითოეული ადამიანის, თითოეული ოჯახის გამარჯვება იქნება!

## „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.